



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 543/ს
13/10/2023

543-21-4-202310131633



**ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურში შპს „აჭარა აგროჯგუფის“
სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „აჭარა აგროჯგუფის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარწყავი სისტემისათვის განკუთვნილი 220 მ³ მოცულობის წყლის ღია რეზერვუარი უკვე მოწყობილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, კომპანიას ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 20.37.03.050; 20.37.03.066; 20.37.03.048; ფართობი 10.5 ჰა) დაგეგმილი აქვს ლურჯი მოცვის ბადის გაშენება, რისთვისაც ტერიტორიაზე მოეწყობა სარწყავი სისტემა. აღნიშნული მიწის ნაკვეთები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, რომელსაც შპს „აჭარა აგროჯგუფი“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 125 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან (ჭაბურღილი) – 275 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ხოჩიჩა მიედინება საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 300 მეტრით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ლურჯი მოცვის ბადის მოსარწყავად, წყალაღება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული ჭაბურღილიდან, რომელზეც აღებული იქნება შესაბამისი ლიცენზია. ჭაბურღილის განთავსების წერტილის GPS კოორდინატებია: X-738353, Y-4639406. ჭაბურღილიდან წყლის აღება განხორციელდება 5-6 მ³/სთ წარმადობის მქონე ელექტრო ტუმბოს საშუალებით და გადავა ლითონის, ცილინდრული კონსტრუქციის, 220 მ³ მოცულობის წყლის ღია რეზერვუარში (GPS კოორდინატები: X-738432, Y-4639306), რომელიც განთავსებულია 20 სმ სისქის რკინა-ბეტონის ფილაზე, ჭაბურღილიდან დაახლოებით 130 მეტრში. რეზერვუარიდან წყალი თვითდინებით მიეწოდება სატუმბ სადგურს, საიდანაც შემწოვი ტუმბოსა (5 ტ/სთ) და მილსადენის მეშვეობით გადავა ფერტიგაციის სადგურში (GPS კოორდინატები: X-Y-4639319). ფერტიგაციის სადგურიდან მოცვის ნარგავებამდე მილსადენი მიუყვება

საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრის გასწვრივ. სამელიორაციო სისტემისათვის განკუთვნილი მაგისტრალური მილსადენის ჯამური სიგრძე შეადგენს 900 მეტრს, ხოლო დამხმარე მილსადენის სიგრძე – 450 მეტრს. მილსადენები განთავსებული იქნება 50 სმ სიღრმის ტრანშეაში და მიყვანილი იქნება ბაზოკვლებთან, სადაც დაუერთდება წვეთოვან მილებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა განხორციელდება სეზონურად, 8 თვის (მარტი-ოქტომბერი) განმავლობაში. მოსარწყავად გათვალისწინებული წყლის მოცულობა შეადგენს წელიწადში 35 000 მ³-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა არ საჭიროებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებს. სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 15 დღის განმავლობაში და გამოყენებული იქნება 1 ექსკავატორი. სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრისთვის, რომლის ზემოდან განეფინება მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების განთავსებას. სარწყავი სისტემისა და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სარწყავი სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში ხმაურის წარმომქმნელი ძირითადი წყარო იქნება 1 ექსკავატორი, რომელიც იმუშავებს 15 დღის განმავლობაში. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპს, საქმიანობის სპეციფიკის, ტუმბოების წარმადობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, სარწყავი სისტემის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტზე ადგილი იქნება სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას (გამოყენებული სასუქების და ქიმიკატების ტარა), რომელიც შეგროვდება სპეციალურ კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და იგი არ წარმოადგენს ცხოველებისათვის ხელსაყრელ საარსებო გარემოს. საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება ბუჩქოვანი მცენარეები, რომლებიც განთავსებულია მიწის ნაკვეთების საზღვარზე და ქმნის ცოცხალ ღობეს. დოკუმენტის თანახმად, სამელიორაციო

სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცეცხლაურში შპს „აჭარა აგროჯგუფის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აჭარა აგროჯგუფი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარა აგროჯგუფის“ და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარა აგროჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

